# 8 მარტი ქალთა საერთაშორისო დღეა



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 48 (5078)

1974 წ. 8 მარტი, პარასკევი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## „ბაკურიანის სწრაფდაშვების ტრასა ბრწყინვალეა“




ბაკურიანი, 7 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს „თეთრ მარგალიტში“ სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობის პირველმა დღემ ჩემპიონი ვერ გამოავლინა. საციგაო დისტანციაზე, 70-მეტრიან ტრამპლინსა და მიტარბი — კოხტაგორა-2-ის სწრაფდაშვების ტრასაზე გენერალური რეპეტიციები ჩატარდა. მონაწილენი საუკეთესო შედეგებისთვის იმდენად არ იბრძოდნენ, რამდენადაც სახვალიო სტარტების კიდევ ერთხელ მოსასინჯად, შემჩნეული ნაკლის გამოსასწორებლად.

ქალები და გოგონები სწრაფდაშვების 2100-მეტრიან ტრასაზე ცდიდნენ ძალას. ეს ის დისტანციაა, სადაც ხვალ, ქალთა საერთაშორისო დღეს, გამოვლინდება სპარტაკიადის ჩემპიონი ქალთა შორის, და გადაწყდება ქალიშვილთა შეჯიბრებაში გამარჯვებულის საკითხი. სტარტზე 84 სპორტსმენი მოეწყო. რბოლა 81-მა დაამთავრა. ყველაზე კარგად დაეშვა სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, მოსკოვის ოლქის გუნდის წევრი, სპორტის ოსტატი გ. შიხოვა. საქართველოს სპორტსმენთაგან ყველაზე კარგად იასპარეზა ბაკურიანელმა ს. ნასყიდაშვილმა (VI ადგილი).

მაგრამ გენერალურ რეპეტიციაში ადგილების განაწილებას მედლებისა და ქულებისთვის ბრძოლაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. შეჯიბრების შემდეგ ვეწვიეთ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ საუკეთესო სამთომოთხილამურეს, ზამთრის I და II სპარტაკიადების 4 ოქროს მედლის მფლობელს, მოსკოველ ვ. ტალიანოვს და ვთხოვეთ აზრი გამოეთქვა ბაკურიანის სწრაფდაშვების ტრასაზე, მომავალი ბრძოლების მოსალოდნელ შედეგებზე. გამოცდილმა ოსტატმა თქვა, რომ ბაკურიანის სწრაფდაშვების ტრასა ბრწყინვალეა და იგი უთუოდ ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირში სამთოსათხილამურო სპორტის შემდგომ განვითარებას, პროგნოზებისგან კი თავი შეიკავა.

ორჭიდელები და „მფრინავი მოთხილამურეები“ 70-მეტრიან ტრამპლინზე ამოწმებდნენ ძალებს. შედეგები კარგი იყო...

ერთი სიტყვით, სპარტაკიადის პირველმა დღემ ცხადყო, რომ მედლებისთვის ბრძოლაში სუსტი და ძლიერი სპორტსმენები არ იქნებიან.

ო. გელაშვილი.

## სიტყვა სპორტსმენებს ექნებით

ბაკურიანი. 6 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ბაზა-პანსიონატის კლუბში მთელი დღე დიდი ბჭობა იყო — ჯერ მფრინავ მოთხილამურეთა, ორჭიდელთა, მოციგაოეთა და სამთომოთხილამურეთა შეჯიბრებების მსაჯთა კოლეგიების სხდომები მოეწყო, მერე მთავარ მსაჯთა კოლეგიის წარმომადგენლების თათბირი. ამ თათბირებს კი პრეს-კონფერენცია მოჰყვა. სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის სამანდატო კომისიამ მუშაობა გუშინ დაიწყო და დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ ბაკურიანს უკვე 810 სპორტსმენი და 160 მსაჯი ეწვია.

განსაკუთრებით საქმიანი იყო მთავარი მსაჯების, მათი მოადგილეებისა და მდივნების მონაწილეობით გამართული თათბირი, რომელსაც საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე ხელმძღვანელობდა.

თათბირმა მოისმინა სამთომოთხილამურეთა შეჯიბრების მთავარი მსაჯის, საკავშირო კატეგორიის მსაჯის ფ. ნავერიანის (თბილისი), ტრამპლინიდან ხტომაში ასპარეზობის მთავარი მსაჯის მოადგილის, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის პ. დემენტიევის (ლენინგრადი), მოციგაოეთა ტურნირის მთავარი მსაჯის, საკავშირო კატეგორიის მსაჯის ი. ეკობსონის (რიგა) ინფორმაციები.

ამ თათბირზე აღინიშნა, რომ სამთომოთხილამურეთა შეჯიბრების პროგრამაში პირველი სახეობა სწრაფდაშვებაა, ტრასა მიტარბი — „კოხტა გორა“ II პირველი სტარტისთვის მზადაა. სარბიელზე პირველნი შესარჩევი შეჯიბრების, ანუ, როგორც სამთომოთხილამურეები უწოდებენ, შეუჩერებელი დაშვების მონაწილე ქალები და ქალიშვილები გამოვლენ. ამ თავისებური რეპეტიციით გაირკვევა, ვინ არის ღირსი ჩემპიონის ოქროს მედლისთვის ბრძოლის გაგრძელებისა.

ქალთა შორის სპარტაკიადის პირველი ჩემპიონი სწორედ ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს გამოვლინდება. ეს სპორტსმენი იქნება ბაკურიანის სტარტების პირველი ლაურეატიც.

— დღეს ორჭიდელებმა, რომლებიც სტარტს 9 მარტს აიღებენ, 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში საკონტროლო ვარჯიში გამართეს. მფრინავი მოთხილამურეებისთვის ამგვარი გამოცდა ხვალ მოეწყობა. ეს მარტო სპორტსმენთა კი არა, მსაჯთა კოლეგიის მზადყოფნის შემოწმებაც გახლავთ. გამოცდამ ძირითადად კარგად ჩაიარა. ბაკურიანის ამინდი ტრამპლინზე იდეალურ პირობებს ქმნის. თოვლის მოსვლა საქმეს მხოლოდ შეაფერხებდა და შედეგებზეც საგრძნობლად იმოქმედებდა, — ამბობს პ. დემენტიევი,— მაგრამ თუ მზიანი ამინდი გაგრძელდა, 90-მეტრიანი ტრამპლინის დაქანებისა და დაშვების ბაქნებზე თოვლის დამატება გახდება საჭირო. აუცილებელი იქნება მუშახელისა და ტექნიკის გამოყენება.

ორგანიზატორებმა ესეც გაითვალისწინეს. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი მზად არის სპარტაკიადას დაეხმაროს.

როგორც ი. ეკობსონმა გვითხრა, მზიანმა ამინდმა მოციგაოეები აიძულა შეჯიბრება ყოველდღიურად გათენებამდე დაიწყონ (ტრასაზე ხელოვნური განათების მოწყობა დამთავრდა).

თათბირმა დაადასტურა, რომ სპარტაკიადის პირველი სტარტებისთვის ბაკურიანში ყველა სარბიელი მზადაა. ახლა ყველაფერი სპორტსმენებზეა დამოკიდებული.

### სპარტაკიადისწინა გამარჯვება

სვერდლოვსკის ოლქის ქალაქ იშიმიდან სასიხარულო ცნობა მივიღეთ: სათხილამურო სპორტში „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაში ახალგაზრდებს შორის შესანიშნავად გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ნ. ბაღაშვილი. მან გაიმარჯვა 8 კილომეტრზე რბოლაში, ხოლო 5 კილომეტრზე მესამე იყო.

## ფუსფუსი არ წყდება

ბაკურიანში საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხიდან 81 ჟურნალისტია აკრედიტებული. ისინი ყოველდღიურად ახალ-ახალ ცნობებს მიაწვდიან საკავშირო და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებს, რადიოსა და ტელევიზიას.

საქართველოს „თეთრ მარგალიტში“ პრეს-ცენტრი დროულად მოეწყო. სპარტაკიადის დაწყებამდე უკვე ორი დღით ადრე ჟურნალისტებისთვის მზად იყო ბევრი საინტერესო მასალა. პირველი საინფორმაციო ბიულეტენი, რომელიც პრეს-ცენტრმა გუშინ საღამოს გამოაქვეყნა, ჟურნალისტებს აწვდის ცნობებს საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის I და II სპარტაკიადების ჩემპიონებსა და მათ შედეგებზე იმ სახეობებში, რომლებიც წლევანდელი ასპარეზობის პროგრამაშია შეტანილი. აცნობს მსოფლიო ჩემპიონატებში გამარჯვებულებსა და მათ მაჩვენებლებს. ბიულეტენში დაბეჭდილია საინტერესო ცნობები III სპარტაკიადაზე, ინტერვიუ სპეციალისტებთან, შეჯიბრებათა გრაფიკი და სხვ.

პრეს-ცენტრმა სტარტი შესანიშნავად აიღო. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ გამოშვების ჯგუფის ხელმძღვანელი, გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქტორის მოადგილე გ. ნამთალაშვილი, თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი მ. კაციტაძე, თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 სკოლის თანამშრომელი ლ. ხეცურიანი და სხვები. ფუსფუსი გვიანობამდე არ წყდება.

დღეს პრეს-ცენტრმა მოაწყო პრეს-კონფერენცია, რომელზეც შევიტყვეთ, რომ სპარტაკიადაში მონაწილეობენ 13 მოძმე რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები. აზერბაიჯანის, მოლდავეთისა და თურქმენეთის სპორტსმენები სარბიელზე არ გამოვლენ, ვინაიდან ამ რესპუბლიკებში ზამთრის სახეობათა განვითარებისთვის სათანადო ბუნებრივი პირობები არ არის.

ცნობილი გახდა, რომ მოციგავეთა შეჯიბრებაში 192 კაცი მიიღებს მონაწილეობას. ეს სარეკორდო ციფრია ამ სახეობისთვის. ბაკურიანში უკვე ჩამოვიდა 162 ტრამპლინიდან მხტომელი, 112 ორჭიდელი, 307 სამთომოთხილამურე.

(დასასრული მე-2 გვ.).





## ხვალ ბაკურიანში ალიმპიურთა სპარტაკიადის [illegible]!




დასასრული

ჟურნალისტების დასახმარებლად კარგად უმუშავია საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს. ტელეფონით ნებისმიერ დროს შეიძლება ქვეყნის მთავარ ცენტრებთან დაკავშირება და სასიხარულო ცნობების გადაცემა.

# კომკავშირი ვალში არ რჩება

საქართველოს კომკავშირმა ბაკურიანს დიდი დახმარება გაუწია სპარტაკიადისთვის მზადებაში. მარტო ბორჯომის რაიონის ახალგაზრდებმა ბაკურიანის ბაზების მშენებლობებზე უსასყიდლოდ ათიათასამდე კაცდღე გამოიმუშავეს. საკმაო შრომა გასწიეს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა. ახლა, როცა მთავარი ბრძოლები კარს გვადგას, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი სპარტაკიადის მონაწილეებისთვის ზრუნავს. კომკავშირული ორგანიზაციები ცალკეულ სახეობებში გამარჯვებულებს საჩუქრებით დააჯილდოებენ. არც სპორტსმენთა კულტურული მომსახურება დავიწყებიათ: სხვადასხვა ბაზაში თითქმის ყოველდღე ეწყობა კონცერტები. ბაკურიანში უკვე გამოვიდნენ ბორჯომის რაიონის, თბილისის უნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო და პოლიტექნიკური ინსტიტუტების თვითმოქმედი ანსამბლები. 8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ჩატარდება კონცერტი სპეციალური პროგრამით, ხოლო სპარტაკიადის მონაწილე და მომსახურე 100-ზე მეტ ქალს სხვადასხვა საშეფო ორგანიზაცია ბაკურიანში გატარებული დღეების მოსაგონებლად საჩუქრებს მიართმევს.

შემდეგ „თეთრ სპარტაკიადას" ეწვევიან თბილისის უცხო ენების ინსტიტუტის ანსამბლი, „იანი" და „მზიური".

დიდ ინტერესს იწვევს სპარტაკიადის შტაბის — სპორტკომიტეტის ბაზა-პანსიონატის დერეფანში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ალპინიზმის, ტურიზმისა და სამთოსათხილამურო სპორტის კათედრის თაოსნობით მოწყობილი გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია მდიდარი მასალები საქართველოში სათხილამურო სპორტის განვითარების შესახებ. ერთი სტენდი სამთომოთხილამურეებს ემღვნებათ. ეს სტენდი გვამცნობს, რომ ჩვენში ამ სახეობაში პირველი სპორტის ოსტატი ლ. ფანჯაკიძე ყოფილა და ეს წოდება მას 1948 წელს მოუპოვებია. ბოლოს ოსტატები 1972 წელს მოუმზადებიათ. ცალკე სტენდი აქვს დათმობილი სასიქადულო „მფრინავ მოთხილამურეს", სპორტის დამსახურებულ ოსტატს კ. წაქაძეს. მესამე სტენდი გვაცნობს საქართველოში სათხილამურო სპორტის ფუძემდებლებს: გ. გიორგაძეს, გ. ბაქრაძეს, ლ. ფურცელაძეს, ვ. მალოვიცკოს, შ. მაყაშვილს, დ. გელაძეს, ს. გვალიას. ამ უკანასკნელს თავადაც აქტიური მონაწილეობა მიუღია გამოფენის მოწყობაში.

# შეხვედრა სიჭაბუკესთან

მთავარი მსაჯებისა და მათი მოადგილეების თათბირზე მფრინავ მოთხილამურეთა და ორჭიდელთა შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის არბიტრი, საბჭოთა კავშირის საინჟინრო ჯარების მარშალი ვ. ხარჩენკო გავიცანით.

თათბირის შემდეგ ვთხოვეთ თავის სპორტულ წარსულზე ემბნა. გაიღიმა. ეტყობოდა თავის თავზე ლაპარაკი ეძნელებოდა. მაშინ კითხვა შევუბრუნეთ და ვთხოვეთ ეთქვა, როგორ მოსწონს ბაკურიანი, კმაყოფილია თუ არა სპარტაკიადისთვის ჩვენი მზადებით.

— ბაკურიანში პირველად როდი ვარ, — გვიპასუხა მან. — 1937 წელს აქ შეჯიბრებაში ვმონაწილეობდი. მას შემდეგ ბაკურიანი საგრძნობლად შეცვლილა, გაზრდილა, დამშვენებულა. წარსულის გახსენებამ 37 წლით გამაახალგაზრდავა. აქ ჩამოსვლით თითქოს ჩემს სიჭაბუკეს შევხვდი. ბაკურიანი სტარტებისთვის კარგად მომზადებულა. ტრამპლინები შესანიშნავია.

მარშალი ახალგაზრდობაში ტრამპლინიდან ხტომაში წითელი არმიის მრავალგზის ჩემპიონი ყოფილა. საკავშირო პირველობებში ვერცხლის მედალიც მოუპოვებია. ხტომაში მისი პირადი რეკორდი თურმე 78 მეტრს აღწევდა.

— ახლა, როცა ტრამპლინიდან ხტომას ვუყურებ, მთელი არსებით მიხარია, უდიდეს სიამოვნებას განვიცდი. ო, რა დიდად წავიდა წინ ხტომის ტექნიკა! — ამბობს იგი.

საუბრისთვის მადლობა მოვახსენეთ. გულთბილად დაგვემშვიდობა.

ო. გელაშვილი.

# გაზაფხულის ეტიუდი

გოგონა თოჯინებს ეთამაშებოდა, სანაპიროსთან ზღვის ტალღების „დაჭერას" ლამობდა, დედის დაუხმარებლად ჯიუტ ნაწნავებზე ბაბთას ვერ იკვნიდა და მაინც, ჩუმ-ჩუმად... ტანვარჯიშზე ოცნებობდა. სადღაც ენახა, სადღაც გაეგონა, მაგრამ სად, ამას თავადაც ვერ გეტყოდათ.

იგი ცხოვრობდა ზღვის სანაპიროზე, აგროვებდა ფერად კენჭებს, სიამოვნებდა ზღვიდან მონაბერი ნიავი, რომელსაც ოდნავ მომლაშო სურნელი დაჰკრავდა. სანაპიროზე ნება-ნება ირწეოდნენ მაგნოლიები და კვიპაროსები. მათი რხევა გოგონას ტანმოვარჯიშეებს აგონებდა. ტკბილია ეს ოცნება. ასე ოცნებობენ თითისტოლა ბიჭები შორეულ უდაბურ კუნძულებზე, პირველაღმომჩენთა აფრიან ხომალდზე და მზეზე გარუჯულ მეზღვაურთა რომანტიკულ ტომზე. გოგონებს კი საოცნებოდ სანაპირო და ხმელეთი რჩებათ. ის, რაც ბიჭებში ვაჟკაცობისადმი მიდრეკილებით არის აღძრული, გოგონებში ბუნებრივი გრაციისა და სინაზისადმი ლტოლვითაა გამოწვეული.

ჩვენ გოგონა დავტოვეთ სანაპიროზე, როცა იგი ფერად კენჭებს აგროვებდა. მის ზურგს უკან კი ზღვაურის მეჰოქროლვაზე ნებიერად ირწეოდა ვეება მცენარეების ზღაპრული ტევრი.

თქვენ ალბათ მიხვდით, რომ საუბარია შავ ზღვაზე: საოცარ ქალაქს, სადაც ჩვენი გოგონა ცხოვრობს, ბათუმი ჰქვია, ხოლო ამ გოგონას სახელი რუსიკო სიხარულიძეა.

იგი თითქოს ზღვის შხეფებიდან გამოვიდა და ფერადი კენჭების შეგროვებაც მერე დაიწყო. განსაცვიფრებელი პლასტიკა, გრაცია და სინარნარე ძნელად იქმნება ხელოვნურად. ეს თვისებები მეტწილად თანდაყოლილია და ამიტომაც ერთობ იშვიათად გვხვდება. ნუ გაიკვირვებთ, თუ კი ჩვენს თავს უფლებას მივცემთ ვთქვათ: რუსიკო ბუნების შვილია, ტანვარჯიშულ იარაღებთან გატარებულმა ურიცხვმა საათმა ვერ წაართვა, უფრო სწორად, ვერ დააჩლუნგა მასში ხალასი ბუნებრიობა. ბოლო სიტყვას პირდაპირი მნიშვნელობით ვამბობთ.

გინახავთ თუ არა სარბიელზე რუსიკო სიხარულიძე? არა, ტელევიზიით ანდა უფერული საგაზეთო კლიშეს მიხედვით მასზე სრული წარმოდგენა ვერ შეგექმნებათ. ამას საკუთარი გამოცდილებით ვამბობ. რუსიკო უნდა ნახოთ თქვენი თვალით, რადგან ასლი, ანუ ტელეობიექტივის თვალი, მუდამ ორიგინალზე მკრთალია.

იგი თითქოს ყველაფერს ჩვეულებრივად ასრულებს, თითქოს არაფერია ისეთი განსაკუთრებული, რაც მნახველს პირველი დანახვისთანავე აცვიფრებს და, თუ შეიძლება ითქვას, აბრმავებს. ეს არის უფრო შეფარული სილამაზე, ენით აუწერელი სინაზე, რომელიც ქართული კოლორიტითაა შეფერილი. ასეთი ტანმოვარჯიშის სადა, მაგრამ საოცარი სილამაზით აღსავსე ხელოვნებას ფრიად დახვეწილი გემოვნების შემფასებელი სჭირდება. მაგრამ რუსიკოს აქვს ცალკეული გამოსვლებიც, რომელთა „ენაც" გასაგებია ყველანაირი გემოვნების და, ასე გასინჯეთ, ყველა ეროვნების მაყურებლისთვის. გაიხსენეთ, როგორ ამკობდა ტანკენარ ქალიშვილს ამერიკული პრესა საბჭოთა ფერიების ტრიუმფული ტურნეს დროს: „ქართველი მზეთუნახავი..." ამ ორი სიტყვის მიღმა მარტო ოსტატობის აღიარება როდია, ეს უფრო მაყურებლის „მოჯადოებას" მოჰგავს.

ანდა, გავიხსენოთ თბილისი, სპორტის სასახლე, შარშანდელი თასის გათამაშება, თავისუფალი ვარჯიში, როცა შუაგულ შემოდგომაზე რუსიკომ რამდენიმე წუთით შემოიყვანა მშვენიერი გაზაფხული. გაზაფხულს ჰგავდა მისი ყოველი მოძრაობა, ნაკადული მხიარული რაკრაკით ჩამორბოდა ბარში, იღვიძებდა მიწა, თვალისმომჭრელი სითეთრით ელავდნენ ნუშისა და ტყემლის რტოები. და თავად მუსიკა, გემოვნებით შერჩეული სწრაფი, მაგრამ მელოდიური ჰანგი გაზაფხულის სიმღერას მოგაგონებდათ. უშველებელ დარბაზს თითქოს ჩამოშორდა კედლები, მაღალი თაღის ნაცვლად სარბიელს გუმბათივით დაადგა გაზაფხულის ლაჟვარდოვანი ცა. ეს იყო სრული ილუზია ბუნებისა და მისი შვილის საოცარი ჰარმონიისა. ვფიქრობ, მსაჯებიც კი, მკაცრი, ოდნავ პედანტი, აუღელვებელი მსაჯებიც კი თავისდაუნებურად ხედავდნენ დაახლოებით ასეთსავე სურათს. მოგვეჩვენა? ქართველი სპორტსმენის მიერ შესრულებული „გაზაფხულის ეტიუდის" შემდეგ საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა შორის ერთი შეხედვით ყველაზე პირქუში, გაუცინარი, უემოციო ლიუდმილა ტურიშჩევა აღფრთოვანებული მიიჭრა რუსიკოსთან, გულში ჩაიკრა იგი და მაშინ კიდევ ერთხელ „მოგვეჩვენა", რომ მან, მსოფლიო ტანვარჯიშის ლიდერმა, აკოცა ქართულ გაზაფხულს.

ა. გოგელია.



სურათზე: რ. სიხარულიძე.

# ნიკორწმინდელი გოგონა

... ოთახში გამოფენილია აუარებელი დიპლომი, სიგელი, თასები, ვიმპელები, სამახსოვრო დროშები — ნადავლი სპორტულ სარბიელზე მოპოვებული წარმატებებისთვის. ამ ჯილდოებს სულ ახლახან შეემატა კიდევ ორი თასი, რომლებიც ბაკურიანის თოვლიან ბილიკებზე მოიპოვეს სპორტკლუბ „ფეიქრის" მოთხილამურეებმა.

— წამობრძანდით. გაგაცნობთ იმ ქალიშვილს, ვისი წყალობითაც დავისაკუთრეთ ეს თასები — გვითხრა სპორტკლუბის თავმჯდომარის მოადგილემ გ. დვალმა და მეორე სართავსაგრეხი საამქროსკენ წავიძღვა. ჩვენი მისვლა იქ ვერავინ შენიშნა. ყველა თავისი საქმით იყო გართული.

— გაიცანით, ბაკურიანის გმირი ქეთინო ვაჩაძე! — გვითხრა მეგზურმა.

ქეთინო თავს დასტრიალებდა სართავ მანქანას. მისი დაკვირვებული, მახვილი თვალები უმალ ამჩნევდნენ მცირეოდენ ხარვეზს ნართის უამრავ წყებაში. გაწაფული ხელები საოცარი სისწრაფით, უშეცდომოდ მოქმედებდნენ.

— ვაჩაძე სამი წელია, რაც თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში მუშაობს. მან უმალ აუღო ალღო მრთველ-მგრეხავის პროფესიას და დღეს თავისი საქმის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტად ითვლება წარმოებაში. იგი გაფართოებულ ზონაზე მუშაობს და გეგმას მუდამ წარმატებით, 110-125 პროცენტით ასრულებს, ამასთან ჩვენი საამაყო სპორტსმენიცაა, თუმცა, ამაზე უმჯობესია დვალმა გიამბოთ, — გვითხრა საამქროს უფროსმა გ. ქეშელაშვილმა.

— ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სამი წლის წინ ფაბრიკის მოთხილამურეთა ნაკრებში ერთი გოგონა დაგვაკლდა. მაშინ გაგვახსენდა ჩვენთან მომუშავე, სოფელ ნიკორწმინდიდან ჩამოსული ქეთინო. ვიცოდით, იგი ამბროლაურის რაიონის მოსწავლეთა სამგზის ჩემპიონი იყო სლალომსა და თხილამურებით რბენაში. არჩევანში არ შევმცდარვართ. წლეულს ბაკურიანში გამართულ თბილისის სპორტული კლუბების მესამე ზამთრის სპარტაკიადაზე ნიკორწმინდელმა გოგონამ ჩემპიონის სახელი მოიპოვა 5 და 10 კილომეტრზე თხილამურებით რბენაში, სლალომისტთა შეჯიბრებაში კი მეორე იყო. ასეთივე წარმატებით იასპარეზა მან მსუბუქი მრეწველობის პროფკავშირების მეცხრე სპარტაკიადაზე. ვაჩაძე ერთადერთი იყო ჩვენს გუნდში, ვინც საპრიზო ადგილები მოიპოვა, — გვითხრა სპორტკლუბის თავმჯდომარის მოადგილემ.

— უკეთეს შედეგებსაც მოვიპოვებდი, სათხილამურო სპორტში ვარჯიშის პირობები რომ გვქონდეს. თორემ რა გამოვიდა: თხილამურებზე მხოლოდ მაშინ ვდგები, როცა შეჯიბრება კარზე მოგვადგება, — სინანულით გვითხრა ქეთინომ, შემდეგ ბოდიში მოგვიხადა და ისევ თავის სართავ მანქანას მიუბრუნდა. ქეთინო, ისევე როგორც მთელი სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მშრომელები ხელხვავიანად ეგებებიან ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს.

ა. გურასაშვილი.

* * *

სურათზე: ქ. ვაჩაძე მუშაობის დროს.

ავტორის ფოტო.

# პირველი ტურის შემდეგ

ტალინსა და ქერჩინსკში დამთავრდა წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტური.

ტალინში შეჯიბრების ბოლო დღეს დაძაბული ბრძოლის შემდეგ თბილისის დინამოელებმა მინიმალური ანგარიშით წააგეს ლენინგრადის „ბალტიკასთან" — 6:7. შეჯიბრების ლიდერებმა — მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელებმა — მეხუთე გამარჯვება იზეიმეს: ამჯერად დაამარცხეს ხარკოვის დინამოელები — 5:3. მოსკოვის დინამოელებმა სძლიეს ალმაათელ თანაკლუბელებს — 7:4.

ქერჩინსკში შეჯიბრების ბოლო დღე წარუმატებელი გამოდგა სსრ კავშირის თასის მფლობელებისთვის — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო-სპორტული კლუბის სპორტსმენებისთვის. მათ მინიმალური ანგარიშით (3:4) წააგეს კიევის დინამოელებთან. დანარჩენი ორი მატჩი ასე დამთავრდა: „ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (ლვოვი) 2:3, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო) — „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) 7:7.

**წყალბურთი**

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა I ტურის შემდეგ

### ტალინი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ზ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტი (მოსკოვი) | 5 | 5 | 0 | 0 | 30:14 | | 10 |
| „დინამო" (თბილისი) | 5 | 3 | 0 | 2 | 25:25 | | 6 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 5 | 2 | 1 | 2 | 27:24 | | 5 |
| „ბალტიკა" (ლენინგრადი) | 5 | 1 | 2 | 2 | 23:29 | | 4 |
| „დინამო" (ხარკოვი) | 5 | 0 | 3 | 2 | 22:26 | | 3 |
| „დინამო" (ალმა-ათა) | 5 | 0 | 2 | 3 | 16:25 | | 2 |

### ქერჩინსკი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ზ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო-სპორტული კლუბი | 5 | 4 | 0 | 1 | 32:22 | | 8 |
| „დინამო" (კიევი) | 5 | 4 | 0 | 1 | 22:15 | | 8 |
| „დინამო" (ლვოვი) | 5 | 2 | 1 | 2 | 17:18 | | 5 |
| „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) | 5 | 1 | 2 | 2 | 26:30 | | 4 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 5 | 1 | 1 | 3 | 13:18 | | 3 |
| კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო) | 5 | 0 | 2 | 3 | 22:29 | | 2 |

# შეცდომის მიუხედავად

მიუნხენის მიმდინარე ფიგურულ მოციგურავეთა მსოფლიო ჩემპიონატში კვლავ ისახელეს თავი მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონებმა, მოსკოველებმა ი. როდნინამ და ა. ზაიცევმა. მათ ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ მსოფლიოში ბადალი არა ჰყავთ. უცნაური ამბავი მოხდა მათი ასპარეზობის დროს: როდნინამ ორი ბრუნის ნაცვლად ერთი გააკეთა, მაგრამ პროგრამა იმდენად მაღალ დონეზე იყო შესრულებული, რომ ამან ვერ დაჩრდილა საერთო შთაბეჭდილება და მსაჯებმა მაინც უმაღლესი შეფასება მისცეს საბჭოთა დუეტს. II ადგილზეც საბჭოთა მოციგურავეები — ლ. სმირნოვა და ა. ულანოვი გავიდნენ. ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს გდრ-ის წარმომადგენლებმა რ. კერმერმა და რ. ესტერაიხმა.



# ალექსანდრია, ლევიტინა — პრეტენდენტები

გუშინ, კისლოვოდსკში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა მატჩ-ტურნირი. დასკვნით, XII ტურში ალექსანდრია — კონოპლიოვას შეხვედრა ყაიმით დამთავრდა, ლევიტინამ მოუგო შულს. ამრიგად, ალექსანდრიამ 8,5 ქულა დააგროვა, ლევიტინამ — 7, შულმა — 6,5, კონოპლიოვამ — 2.

# ფაქტების პირისპირ

## რესპუბლიკის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების სპორტული მუშაობა 1973 წელს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სასწავლო-მეთოდურმა საბჭომ განიხილა რესპუბლიკის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების შარშანდელი ანგარიშები. შეაჯამეს რა ამ გუნდების სპორტული მუშაობის შედეგები, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ და სამმართველომ იგი საერთო ჯამში არადამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს (გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ქუთაისის „ტორპედო").

მაინც, როგორია ჩვენი გუნდების გამოსვლათა ძირითადი შედეგები?

### თბილისის „დინამო".

კლუბმა ქვეყნის ჩემპიონატში V ადგილი დაიკავა (13 წმინდა გამარჯვება, 5 მოგება პენალტებით, 10 წაგება, 2 წაგება პენალტებით. გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობა — 31:26. სულ — 31 ქულა).

სსრ კავშირის თასის გათამაშებაში კლუბი შევიდა მხოლოდ მერვედფინალამდე, სადაც „სპარტაკთან" წააგო. კლუბი თავის შესაძლებლობებზე სუსტად, უაღრესად არასტაბილურად თამაშობდა. უეფა-ს თასის გათამაშებაში „დინამო" უფრო უკეთ გამოვიდა, ვიდრე სამამულო შეხვედრებში (გავიხსენოთ მისი შთამბეჭდავი გამარჯვება ბელგრადის ოფკ-სთან), კოლუმბის თასზე გამართულ საერთაშორისო ტურნირში კი ბრწყინვალედ ითამაშა და I ადგილი დაიკავა. მაგრამ აქაც ამ გამოსვლებით მიღებული კარგი შთაბეჭდილება გააქარწყლა უეფა-ს თასის გათამაშების მერვედფინალურმა მატჩმა „ტოტენჰემთან", რომელიც „დინამომ" წააგო ანგარიშით 1:5.

„დინამოს" სასარგებლოდ არც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ქალაქში მის მატჩებზე მაყურებელთა რაოდენობამ იკლო (1972 წელს — 410000 მაყურებელი, 1973 წელს — 390000).

გუნდი ცუდად მუშაობდა სათადარიგო შემადგენლობასთან, ესე იგი ცუდად ზრუნავდა თავის მომავალზე.

### ქუთაისის „ტორპედო"

კლუბმა შეასრულა თავისი ამოცანა — შევიდა პირველი ლიგის უძლიერესთა ათეულში, რაც არ შეიძლება წარმატებად არ ჩაითვალოს. ეს მოწმობს გუნდის გარკვეულ წინსვლას 1972 წლის მარცხის შემდეგ, როცა მცდარი „კურსის" შედეგად — სხვა გუნდებიდან ჩამორჩენილი „ვარსკვლავების" გადმოყვანის გამო, რომლებმაც ქუთაისს შემოსავლის საძებნელად მიაკითხეს — „ტორპედომ" დაკარგა ყველაფერი, რაც კარგი იყო მის თამაშში.

„ტორპედომ" VI-IX ადგილები გაიყო ზაპოროჟიეს „მეტალურგთან", „შინიკთან" და „კრილია სოვეტოვთან" (16 წმინდა გამარჯვება, 2 — პენალტებით, 18 წაგება, 2 — პენალტებით. გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობა — 40:46. 36 ქულა). ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ პირობით შეიძლება დამაკმაყოფილებელ შედეგად ჩაითვალოს და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იმედს გვაძლევს, რომ გუნდი მიუახლოვდება უმაღლეს ლიგაში გადასვლის პრეტენდენტთა ჯგუფს. ამ თვალსაზრისით კოლექტივის (უფროსი მწვრთნელი ა. ნორაკიძე) დამსახურებად უნდა ჩაითვალოს შემადგენლობის თამამი განახლება და ახალგაზრდა, უმთავრესად ადგილობრივი პერსპექტიული ფეხბურთელების (ო. ბერულავა, მ. ჩახუნაშვილი, ზ. გაგუა, მ. ქუთათელაძე, ბ. ფარულავა, გ. გაბიჩვაძე, რ. ბურკაძე, თ. კოსტავა, რ. შენგელია, ი. კვერნაძე) სარბიელზე გამოყვანა.

### ოსტატთა II ლიგის გუნდები

შეიძლება ითქვას, რომ ოსტატთა II ლიგის გუნდებს ქვეყნის ჩემპიონატში ისე წარუმატებლად არასოდეს უთამაშიათ, როგორც 1973 წელს.

გაგაცნობთ ამ გუნდების შედეგებს თავიანთ (IV) ზონაში.

| | ქულები | ბურთები | ადგილი |
|---|---|---|---|
| „მერცხალი" (მახ.) | 33 | 46—43 | 6 |
| „გურია" (ლანჩ.) | 31 | 52—52 | 8 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 28 | 32—49 | 10 |
| „დინამო" (ბათ.) | 27 | 36—38 | 11 |
| „ლოკ." (სამტრედია) | 27 | 39—61 | 12 |
| „დილა" (გორი) | 26 | 41—54 | 14 |
| „დინამო" (სოხუმი) | 21 | 32—53 | 17 |

აშკარად დავთმეთ პოზიციები, ჩვენი საუკეთესო გუნდი — მახარაძის „მერცხალი" — VI ადგილზე აღმოჩნდა. განსაკუთრებით დამაფიქრებელია ბათუმისა და სოხუმის „დინამოს" გუნდების შედეგები, გუნდებისა, რომლებიც სხვებს მაგალითს უნდა უჩვენებდნენ, სინამდვილეში კი ყველას კუდში მოექცნენ (სოხუმელებმა ოსტატთა ლიგაში საერთოდ დაკარგეს ადგილი).

ჩვენ გუნდებს შორის ძალთა ნამდვილ შეფარდებაზე ნათლად მეტყველებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი, რომელშიც შეჯამებულია ოსტატთა II ლიგის ზონალურ პირველობაში (IV ზონა) რესპუბლიკის გუნდების ურთიერთშეხვედრათა შედეგები.

| | ქულები | ბურთები | ადგილი |
|---|---|---|---|
| „დილა" | 12 | 15:16 | 1 |
| „კოლხეთი" | 11 | 16:13 | 2 |
| „მერცხალი" | 11 | 17:15 | 3 |
| „ლოკომოტივი" | 11 | 19:22 | 4 |
| „გურია" | 10 | 18:17 | 5 |
| „დინამო" (ბათუმი) | 8 | 12:13 | 6-7 |
| „დინამო" (სოხუმი) | 8 | 18:19 | 6-7 |

გუნდების შედეგიანობა დაბალია. მათგან მხოლოდ ერთს („მერცხალს") აქვს გატანილი და მიღებული ბურთების დადებითი ბალანსი, ისიც გატანილია მხოლოდ სამი ბურთით მეტი (46:43). ეს მაშინ, როცა იმავე ჯგუფში კოსტრომის „სპარტაკმა" 63 ბურთი გაიტანა და 27 მიიღო, კალუგის „ლოკომოტივის" შეფარდებაა შესაბამისად 51 და 30, ვლადიმირის „ტორპედოსი" — 65 და 32.

სპორტული შედეგები პირდაპირ კავშირშია შეჯიბრების, დასვენებისა და წვრთნის რაციონალურ მონაცვლეობასთან, მეცადინეობის მოცულობასთან, ინტენსივობასა და ხარისხთან.

თბილისის დინამოელებმა თანდათანობის პრინციპი დაარღვიეს და მზადების ფორსირებულ გზას დაადგნენ. მათ იჩქარეს და პირველი ამხანაგური მატჩი ჯერ კიდევ იანვარში ჩაატარეს. თებერვალში 5 საკონტროლო შეხვედრა ჰქონდათ, 21 დღე მოანდომეს საწვრთნელ მეცადინეობებს და ამგვარად მხოლოდ ორი დასვენების დღე ჰქონდათ. ასპარეზობის, წვრთნისა და დასვენების ამ დარღვევას, თანაც ასე ადრეულ პერიოდში, დაემატა საწვრთნელი დატვირთვის ისეთი მკვეთრი ზრდა, რომლის დასაძლევადაც ფეხბურთელები მზად არ იყვნენ. ყოველივე ამან გამოიწვია ფეხბურთელების გადაქანცვა ჯერ კიდევ მოსამზადებელ პერიოდში.

გუნდის ხელმძღვანელები თავადაც აღიარებენ ამას, როცა წლიურ ანგარიშში წერენ: „დატვირთვის გაზრდის კურსმა გამოიწვია გადაღლა და ზედმეტად დაძაბვა ფეხბურთელებისა, რომლებიც ამისთვის სათანადოდ მომზადებული არ იყვნენ". მაგრამ განა მათთვის ნათელი არ უნდა იყოს, რომ დატვირთვის გაზრდა შეიძლება მხოლოდ იმ დონემდე, რომლისთვისაც ფეხბურთელები სათანადოდ მომზადებული არიან?

დაშვებულმა გადახრამ გუნდის ხელმძღვანელებს მეორე უკიდურესობისკენ უბიძგა: მათ ახლა მკვეთრად შეამცირეს დატვირთვა და უკვე აღარც უცდიათ მისი გაზრდა.

სსრ კავშირის ფეხბურთის სამმართველოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ივაშკოვი, რომელმაც შარშან ივლისში შეამოწმა გუნდი, წერდა: „მეცადინეობები... ტარდებოდა დაქვეითებული დატვირთვით. კონსპექტ-გაკვეთილებს იცავდნენ, მაგრამ მეცადინეობას სიმჭიდროვე და ინტენსივობა აკლდა".

დატვირთვის დოზირებაში დაშვებულმა შეცდომებმა უარყოფითად იმოქმედა ფეხბურთელთა გაწვრთნილობაზე, გახდა ერთ-ერთი მიზეზი გუნდის არასტაბილური, უმთავრესად განწყობილებაზე დამოკიდებული თამაშისა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ქუთაისის „ტორპედომაც", რომელიც წვრთნას 21 იანვარს შეუდგა, თებერვალში უკვე ჩაატარა 6 საკონტროლო თამაში პლუს 6 მეცადინეობა დიდი დატვირთვით, დასვენების დღე კი მხოლოდ ოთხი ჰქონდა. შესაბამისად, მარტში გუნდს ჰქონდა 6 ამხანაგური მატჩი, 3 მეცადინეობა დიდი დატვირთვით და ისევ მხოლოდ 4 დასვენების დღე. შეხვედრები, მით უმეტეს საერთომოსამზადებელ პერიოდში ვერაფრით ვერ შეცვლის საწვრთნელ მეცადინეობებს და დადებით როლს ითამაშებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სწორადაა შეწყმული წვრთნასთან და დასვენებასთან. მომზადების მეთოდიკის ასეთი მარტივი ჭეშმარიტების არცოდნა, როცა საქმე ეხება ა. ნორაკიძისთანა გამოცდილ მწვრთნელს, სავსებით გამორიცხულია. ასე რომ, აქ შეგნებული, რაღაც მოსაზრებით განპირობებული მოქმედება უნდა დავინახოთ. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ხელახლა ვხვდებით ფორმაში შესვლის ფორსირებას. არასაკმარის თანდათანობას, მზადების საერთო-ფიზიკური ამოცანების დაუფასებლობას. თუ ყოველივე ზემოთქმულმა სერიოზულ შედეგებამდე არ მიგვიყვანა, ეს მოხდა მხოლოდ მწვრთნელის დიდი გამოცდილების წყალობით, რომელმაც შეძლო წყლიდან მშრალად ამოსვლა.

სოხუმელებმა კი ვერ შეძლეს. გუნდის მწვრთნელებმა და სპორტსაზოგადოება „დინამოს" ადგილობრივმა მესვეურებმა უგულებელყვეს მზადების კანონები და პირდაპირ შეჯიბრებებს მიმართეს. სოხუმის დინამოელები მხოლოდ 16 იანვარს შეუდგნენ წვრთნას, მაგრამ ამას მათთვის ხელი არ შეუშლია იმავე თვეში პირველი ამხანაგური მატჩის ჩატარებაში. „25 დღეში, — წერენ თავიანთი წლიური ანგარიშის განმარტებითს ბარათში გუნდის მესვეურები, — 12 ამხანაგური მატჩი ჩავატარეთ". და შემდეგ: „ამ მატჩებმა დიდი ზიანი მიაყენა ფეხბურთელთა გუნდის ფიზიკურ მდგომარეობას. მთელი გათამაშების მანძილზე ისინი დაღლილი და ინერტული იყვნენ, არ იგრძნობოდა მინდორზე სპორტული ბრძოლის წყურვილი". გუნდს ქანცი გაუწყვიტა სეზონისთვის მზადების დასაწყის სტადიაში წვრთნის ფიზიოლოგიური საფუძვლების უგულებელყოფამ.

ეს „მოუთმენლობა", რაც საერთომოსამზადებელი ეტაპის გვერდის ავლისა და შეჯიბრებათა რაც შეიძლება მალე დაწყების სურვილში გამოიხატება, საერთოდ დამახასიათებელია ჩვენი რესპუბლიკური გუნდებისთვის. სეზონის დასაწყისში საკონტროლო თამაშებით ზედმეტად გატაცებამ ზიანი მიაყენა საერთო-ფიზიკურ მომზადებას, რაც ფეხბურთელის გაწვრთნილობის სიმყარის საფუძველია, შემცირდა საწვრთნელ მეცადინეობათა რიცხვი, ზოგჯერ კი სპორტული რეჟიმით დაკანონებული დასვენების დღეების რაოდენობაც, დაირღვა წლიური ციკლის დადგენილი სტრუქტურა.

ყოველივე ამას მოწმობს ცხრილი,

| | მეთოდური მითითება | „დინამო" თბილისი | „ტორპედო" ქუთაისი | „მერცხალი" | „გურია" | „კოლხეთი" | „დინამო" ბათუმი | „ლოკომოტ." | „დილა" | „დინამო" სოხუმი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შეჯიბრებები გათამაშების დაწყებამდე | | | | | | | | | | |
| ა) ამხანაგური | 5 | 8 | 13 | 5 | 6 | 4 | 4 | 12 | 8 | 11 |
| ბ) შ. შავგულიძის სახელობის პრიზი | — | — | — | 6 | 6 | 6 | 6 | 6 | 6 | 6 |
| 2. ძირითად მეცადინეობათა რიცხვი წლიურად | 205 | 230 | 185 | 206 | 202 | 202 | 214 | 195 | 187 | 203 |
| 3. დამატებითი მეცადინეობა | 97 | 50 | — | 21 | 50 | 31 | 33 | 20 | 6 | 8 |
| 4. დასვენებისა და მგზავრობის დღეები საწვრთნელ-საშეჯიბრებო პერიოდში | 83 | 52 | 72 | 59 | — | — | 59 | — | 74 | 56 |
| | — | — | — | — | 110 | 113 | — | 112 | — | — |
| 5. ყოველწლიური დასვენება | 31 | 27 | 52 | 49 | — | — | 41 | — | 46 | 50 |

პირველ ყოვლისა ყურადღებას იქცევს ყოველწლიური დასვენების არაჩვეულებრივი ხანგრძლივობა. ქუთაისელებისთვის იგი მოიცავს 52 დღეს, სოხუმელებისთვის — 50-ს, მახარაძელებისთვის — 49-ს და ა. შ., თუმცა არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 31 დღეს (ერთ თვეს). შვებულების უკანონოდ გაგრძელება არა მარტო კვეცს საწვრთნელი დღეების რაცხვს და, შესაბამისად, საწვრთნელი მუშაობის მოცულობასაც, არამედ სპორტული ფორმის უფრო მნიშვნელოვნად დაკარგვასაც იწვევს. კიდევ უარესი, თუ გუნდების ასეთი ხანგრძლივი ყოველწლიური შვებულებები ერწყმის საშეჯიბრებო-საწვრთნელი რეჟიმით დადგენილ დასვენებისა და მგზავრობის დღეების რიცხვის შეკვეცას სეზონის პერიოდში, მაგალითი: სოხუმის „დინამო".

(გაგრძელება იქნება).

# ჩემპიონატი ახალი სისტემით

3 მარტს საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში დაიწყო რესპუბლიკური ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის ფეხბურთში. გასული წლებისგან განსხვავებით იგი ჩატარდება ახლებური, უფრო სრულყოფილი სისტემით. მასში მონაწილე კოლექტივები ტერიტორიული პრინციპით დაყოფილი არიან აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებად, თითოეული 10 გუნდის შემადგენლობით. აქ გათამაშება იწარმოებს ერთ წრედ, რის შემდეგ 4-4 გამარჯვებული ყოველი ზონიდან განაგრძობენ შეჯიბრებას ოლიმპიური სისტემით, 2 წრედ, ე. ი. მეტოქეები ერთმანეთს შეხვდებიან როგორც შინ, ისე გასვლაზე.

ჭაბუკთა რესპუბლიკური ჩემპიონატის ჩატარება ახალი სისტემით საშუალებას იძლევა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი გუნდების მგზავრობა, კალენდარული მატჩები დაგეგმილია მხოლოდ კვირადღეებში, რაც უზრუნველყოფს ნორმალურ ციკლიურობას სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის საწარმოებლად, ამას გარდა, ბავშვები არ გააცდენენ მეცადინეობას სკოლეზში.

ზონათა შემადგენლობანი ასეთია:

**აღმოსავლეთი ზონა** — „ავაზა" (თბილისი), „დილა" (გორი), „დინამო" (თბილისი), „განთიადი" (თბილისი), „სპორტინტერნატი" (თბილისი), განათლების განყოფილება (თბილისი), ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თელავი), მწვრთნელთა სკოლა (თბილისი), „მეტალურგი" (რუსთავი), ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი).

**დასავლეთი ზონა** — „დინამო" (სოხუმი), „მერცხალი" (მახარაძე), „დინამო" (ბათუმი), „კოლხეთი" (ფოთი), „ლოკომოტივი" (სამტრედია), განათლების განყოფილება (ქუთაისი), „ტორპედო" (ქუთაისი), „დინამო" (ზუგდიდი), ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (გაგრა), „გურია" (ლანჩხუთი).

მოზარდთა კალენდარული შეხვედრების ხანგრძლივობაა 80 წუთი, 10 წუთიანი შესვენებით, მატჩის მსვლელობაში შეიძლება 6 მოთამაშის შეცვლა. I-III ადგილების გამოსარკვევად 26 მაისს თბილისში შედგება 2 მატჩი, გამარჯვებულ კოლექტივს მიენიჭება საქართველოს ჩემპიონის წოდება ჭაბუკთა შორის, დაჯილდოვდება გარდამავალი თასით, I ხარისხის დიპლომით. საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები და მოთამაშეები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის დიპლომებს.

პირველი მატჩები უკვე ჩატარდა. უამინდობის გამო აღმოსავლეთ ზონის I ტურის მატჩები გადატანილია, დასავლეთ ზონაში შედგა ყველა მატჩი. ბათუმის დინამოელებმა მიიღეს დებიუტანტები — თანაკლუბელები ზუგდიდიდან. სტუმრებმა კარგად ითამაშეს პირველ ტაიმში და დაწინაურდნენ ანგარიშით 1:0, მაგრამ შესვენების შემდეგ ბათუმელებმა იძალეს და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც — 4:1.

წარმატებით დაიწყო ტურნირი ქუთაისის ორივე გუნდმა. ტორპედოელები ფოთში თამაშობდნენ ადგილობრივი „კოლხეთის" წინააღმდეგ და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1, განათლების განყოფილების გუნდმა კი ანგარიშით 4:0 სამტრედიაში დაამარცხა „ლოკომოტივი".

დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა შეხვედრა სოხუმში ადგილობრივ „დინამოსა" და ლანჩხუთის „გურიას" შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:1. მახარაძის „მერცხალმა" შინ ფრედ ითამაშა გაგრის გუნდთან — 1:1.

პირველი ტურის მატჩები ჩატარდა საინტერესოდ, ორგანიზებულად, მაგრამ საგანგაშოა ის, რომ მსაჯებს ამ მატჩებში მოუხდათ 3 მოთამაშის გაძევება და ერთის გაფრთხილება. ხულიგნობაში განსაკუთრებით „გამოიჩინეს" თავი მახარაძელმა გ. შუშელიძემ და გაგრელმა ი. ჩხეტიანმა, რომლებმაც ხელჩართული ჩხუბი ატეხეს ერთმანეთს შორის, ხოლო ზუგდიდელი ე. ქომეთიანი გაძევებულ იქნა იმიტომ, რომ შეეკამათა მსაჯს და უდიერად მოიქცა მინდორზე. შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების ხელმძღვანელებს და თვით ფეხბურთელებს შევახსენებთ, რომ გათამაშების დებულებით ქულათა თანაბრობის შემთხვევაში უპირატესობის მინიჭება მოხდება იმ მაჩვენებლით, თუ რა დონეზე იდგა დისციპლინა გუნდში. მაგრამ ამას გარდა ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისია უმკაცრეს ზომებს მიმართავს დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ, ვინაიდან ჩვენი ფეხბურთელების ნამდვილ მოქალაქეებად და საბჭოთა სპორტსმენებად აღზრდას ამ ასაკიდანვე უნდა მიექცეს ყურადღება.

ამ მიმართებით აუცილებელი აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის კოლექტივი, რომელსაც ბოლო წლების მანძილზე საერთოდ არ ჰქონია დისციპლინის დარღვევის რაიმე შემთხვევა. ეს მაგალითი მისაბაძია ყველასთვის.

დაბოლოს, მოგვყავს II ტურის მატჩების კალენდარი, რომელიც შედგება 10 მარტს. აღმოსავლეთის ზონა: ახ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) — განათლების განყოფილება (თბილისი), თელავი — „სპორტინტერნატი", მწვრთნელთა სკოლა — „განთიადი", „მეტალურგი" — „დინამო" (თბილისი), „ავაზა" — „დილა"; დასავლეთის ზონა: „გურია" — განათლების განყოფილება (ქუთაისი), „ტორპედო" — „ლოკომოტივი", „დინამო" (ზუგდიდი) — „კოლხეთი", გაგრა — „დინამო" (ბათუმი), „დინამო" (სოხუმი) — „მერცხალი".

# ფეხ-ბურ-თი-74

## სსრ კავშირის თასზე

6 მარტს დაიწყო ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების თცდამეთორმეტედფინალური მატჩები. მოგვყავს მათი ტექნიკური შედეგები: „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „ზვეზდა" (პერმი) 1:1, „კუზბასი" (კემეროვო) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 2:2, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 2:0, „პამირი" (დუშანბე) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 0:0, „კუბანი" (კრასნოდარი) — „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) 1:1.

ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრები შედგება 10 მარტს. ქუთაისის ტორპედოელები კვლავ ეთამაშებიან იაროსლავლის „შინიკს", რომელსაც პირველი მატჩი მოუგეს ანგარიშით 2:1.

## 3:0

ლიბანში ტურნე დაამთავრეს ერევნის „არარატის" ფეხბურთელებმა. ბოლო მატჩი მათ მოუგეს ქ. ტრიპოლის ნაკრებ გუნდს — 3:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# იოლი გამარჯვების მოლოდინში

• •

# უკან დასახევი გზა მოჭრილია

გუშინწინ გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა მორიგი მატჩები.

მინსკი. ადგილობრივი რტი-სა და სსრ კავშირის ჩემპიონის ცსკა-ს გამოტოვებული მატჩი, სრულიად მოულოდნელად, მძაფრი და საინტერესო გამოდგა. ლიდერის ყურადღება ალბათ ბელორუსიის კალათბურთელთა არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობამ მოადუნა. იოლი გამარჯვების მოლოდინში მან ინერტულად დაიწყო ბრძოლა და კინაღამ მკაცრადაც დაისაჯა.

ყოველ შემთხვევაში, პირველი ტაიმის შემდეგ მასპინძლები აშკარად ფრთებშესხმულნი ჩანდნენ, რასაც ლიდერზე ვერ ვიტყვით. ეს გასაგებიცაა — რტი-მ 20-წუთიანი ბრძოლის შემდეგ საპატიო ფრეს მიაღწია — 43:43.

ამ გარემოებამ, როგორც ჩანს, უარყოფითად იმოქმედა მოსკოვის არმიელთა თამაშზე, ვინაიდან არც მეორე ტაიმში ჩანდა იგი მობილიზებული. ბრძოლის ბედი, ფაქტიურად, ბოლო წუთებზე გადაწყდა (73:72) და ჩემპიონი ალბათ კმაყოფილია შედეგით, მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ არმიელები მარცხს გადაურჩნენ.

კიევი. ჩემპიონატის მეორე კალენდარული მატჩიც არანაკლებ მძაფრი და შეუპოვარი იყო. უკრაინის არმიელებს უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვთ, ვინაიდან ისინი ნომინალურადაც და ფაქტიურადაც აუტსაიდერები არიან. უკრაინელი კალათბურთელები ახლა უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძვიან და ამიტომაც ყოველი მატჩის შედეგს მათთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

კონკრეტული ამოცანების წინაშე დგანან ესტონელი კალათბურთელებიც. ბოლო მატჩებში წარუმატებლობამ „კალევი" რიტმიდან ამოაგდო და იგი იძულებული გახდა ლიდერთა სამეულში ადგილი კიევის „სტროიტელისთვის" დაეთმო. ახლა იგი ამ ადგილის დაბრუნებისთვის იბრძვის.

ასეთ პრინციპულ პრეტენზიებს შეუძლებელია გავლენა არ მოეხდინა მატჩის ხასიათზე. მართლაც, ბრძოლა უაღრესად მძიმე აღმოჩნდა ორივე მეტოქისთვის. „კალევმა" ტაიმი 3 ქულის სხვაობით მოიგო (50:47), შეხვედრა კი — ანგარიშით 80:78. ამ გამარჯვებით იგი მჭიდროდ მიუახლოვდა „სტროიტელს".

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 მარტისთვის

| | თ. | მ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 20 | 19 | 1791—1547 | 19 |
| „სპარტაკი" | 19 | 15 | 1447—1273 | 15 |
| „სტროიტ." | 20 | 12 | 1714—1627 | 12 |
| „კალევი" | 20 | 11 | 1617—1547 | 11 |
| „დინ." (მ.) | 19 | 10 | 1528—1497 | 10 |
| „დინ." (თბ.) | 18 | 8 | 1381—1412 | 8 |
| „ჟალგირისი" | 19 | 6 | 1476—1532 | 6 |
| რტი | 19 | 5 | 1330—1568 | 5 |
| ასკ (რიგა) | 18 | 5 | 1381—1526 | 5 |
| ასკ (კიევი) | 20 | 5 | 1509—1645 | 5 |

მინსკის მახლობლად, რაუბიჩში, დამთავრდა მსოფლიო პირველობა ბიატლონში. საბჭოთა სპორტსმენებმა 2-2 ოქროს და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. პირველი ოქროს მედალი მოიხვეჭა 20 წლის ნოვოსიბირსკელმა არმიელმა ა. ხოხულიამ, რომელმაც შესანიშნავად გაიარა 15 კილომეტრი სამ სალცეხლე პოზიციაზე სროლით. მისი დრო 58.06,35. მეორე ოქროს მედალი საბჭოთა ბიატლონისტებმა მოიხვეჭეს ესტაფეტაში 4×7,5 კმ-ზე. საბჭოთა ნაკრების შედეგია 2:02.48,75.

სურათებზე: ზევით — ა. ხოხულია დისტანციაზე; ქვევით — მსოფლიო ჩემპიონები (მარცხნიდან) — ნ. კრუგლოვი, ი. კოლმაკოვი, ა. პრივალოვი (სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი), ა. უშაკოვი და ა. ტიხონოვი.



# წინაა ნახევარფინალებში

დამთავრდა კალათბურთელთა ევროპული ტურნირების მეოთხედფინალური შეხვედრები. დაზუსტდა ნახევარფინალური მატჩების მონაწილეთა სია.

## ჩემპიონთა თასი

ვაჟთა I ჯგუფში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ესპანეთის ჩემპიონმა „რეალმა". მან მხოლოდ ერთი მატჩი წააგო იუგოსლავიის „რადნიჩკისთან" — 87:95, მაგრამ ორი შეხვედრის ჯამში მაინც დადებითი ბალანსი აღმოაჩნდა. ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში ესპანელებმა დაამარცხეს ავსტრიის „ვინერბერგერი" — 82:78. „რეალი" განაგრძობს ბრძოლას საპატიო პრიზისთვის.

ნახევარფინალის საგზური მიიღო „რადნიჩკიმაც", რომელმაც განმეორებით შეხვედრაში დაამარცხა ბულგარეთის „აკადემიკი" — 107:93.

ჯგუფური ტურნირის საბოლოო ცხრილი ასე გამოიყურება.

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „რეალი" (ესპანეთი) | 3 | 3 | 0 | 591—481 | 3 |
| „რადნიჩკი" (იუგოსლავია) | 3 | 2 | 1 | 539—534 | 2 |
| „ვინერბერგერი" (ავსტრია) | 3 | 1 | 2 | 487—517 | 1 |
| „აკადემიკი" (ბულგარეთი) | 3 | 0 | 3 | 525—610 | 0 |

II ჯგუფში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა იტალიის ჩემპიონმა და საპატიო ჯილდოს მფლობელმა „ინისმა". ამ გუნდმა ჯგუფური ტურნირის ყველა 6 მატჩი მოიგო. ბოლო შეხვედრაში იტალიელებმა დაამარცხეს საფრანგეთის ჩემპიონი ას „ბერკი" — 94:87, რომელიც ამის მიუხედავად განაგრძობს ტურნირს.

აი, როგორია ამ ჯგუფის შეხვედრათა საბოლოო შედეგები:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „ინისი" (იტალია) | 3 | 3 | 0 | 548—453 | 3 |
| ას „ბერკი" (საფრანგეთი) | 3 | 2 | 1 | 534—449 | 2 |
| „მაკაბი" (ისრაელი) | 3 | 1 | 2 | 483—532 | 1 |
| „რესინგი" (ბელგია) | 3 | 0 | 3 | 418—549 | 0 |

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ ქალთა I ჯგუფში საუკეთესო მდგომარეობა აქვს სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონს ტტტ-ს. რიგელებმა იოლად დაიკავეს I ადგილი. მეორე საგზური ამ ჯგუფიდან რუმინეთის „პოლიტექნიკას" ხვდა, რომელმაც ბოლო შეხვედრა იტალიის „სტანდას" მოუგო ანგარიშით — 72:62.

გთავაზობთ სატურნირო ცხრილს:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტტტ (სსრ კავშირი) | 3 | 3 | 0 | 482—239 | 3 |
| „პოლიტექნიკა" (რუმინეთი) | 3 | 2 | 1 | 380—430 | 2 |
| „სტანდა" (იტალია) | 3 | 1 | 2 | 327—431 | 1 |
| მტკ (უნგრეთი) | 3 | 0 | 3 | 348—437 | 0 |

წარმატებით ჩაატარა II ჯგუფის მატჩები საფრანგეთის ჩემპიონმა „კლერმონ-ფერანმა". მან ყველა შეხვედრა მოიგო, მათ შორის ბოლო მეოთხედფინალური მატჩი ჩეხოსლოვაკიის „სლავიასთან" — 91:50. II ადგილი და ნახევარფინალის მეორე საგზური ხვდა პოლონეთის ჩემპიონ ლკს-ს.

II მეოთხედფინალურ ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „კლერმონ-ფერანი" (საფრანგეთი) | 3 | 3 | 0 | 467—335 | 3 |
| ლკს (პოლონეთი) | 3 | 2 | 1 | 387—405 | 2 |
| „მარიცა" (ბულგარეთი) | 3 | 1 | 2 | 356—378 | 1 |
| „სლავია" (ჩეხოსლოვაკია) | 3 | 0 | 3 | 371—463 | 0 |

ამით დასრულდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების II ეტაპი. წინაა ნახევარფინალური მატჩები და შემდეგ გადამწყვეტი შეხვედრები, რომლებმაც უნდა გამოავლინონ საპატიო ჯილდოს მფლობელნი როგორც ქალთა, ისე ვაჟთა კოლექტივებში.

## თასების მფლობელთა თასი

გთავაზობთ ამ ტურნირის მეოთხედფინალური ციკლის დასკვნითი შეხვედრების შედეგებს:

ვაჟები: „საკლია" (იტალია) — „ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) 87:88, „ესტუდიანტესი" (ესპანეთი) — „სტიაუა" (რუმინეთი) 70:51.

ქალები: იეფს (რუმინეთი) — ჯეას-ი (იტალია) 66:53.

ამ ტურნირის ნახევარფინალში ითამაშებენ: ვაჟთა შორის — „საკლია", „ცრვენა ზვეზდა", „ესტუდიანტესი" და „სპარტაკი — ბრნო" (ჩეხოსლოვაკია). ქალებში — ჯეას-ი, იეფს, „კრალოვოპლოსკა" (ჩეხოსლოვაკია) და „სპარტაკი" (ლენინგრადი — სსრ კავშირი).

# თბილისის ტურისტულ კლუბში

## ფართო პერსპექტივები

ამ დღეებში ტურისტული კლუბის გამგეობამ დაამტკიცა წლევანდელი სამუშაო გეგმა, რომელიც ბევრ საინტერესო ღონისძიებას ითვალისწინებს. ესაა რაიონული ტურისტული კლუბების შექმნა საზოგადოებრივ საწყისებზე, 50 ახალი ტურისტული სექციის ჩამოყალიბება, ტურიზმის ინსტრუქტორთა, ორგანიზატორთა და დასვენების დღის ლაშქრობათა ხელმძღვანელების მომზადება. გარდა ამისა, ჩატარდება ქალაქის ტურისტთა მასობრივი საგაზაფხულო და საშემოდგომო შეკრება-შეჯიბრებები, ტურისტული საღამოები და შეხვედრები. დიდი ყურადღება დაეთმობა ლაშქრობების მოწყობას საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში, კერძოდ, თბილისელი ტურისტები დალაშქრავენ მარუხის, სანჭაროს და ქლუხორის უღელტეხილებს, გაივლიან გმირული მეთერთმეტე არმიის ნაკვალევზე და სხვ.

ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურმა საბჭომ წლეულს ქალაქში მასობრივი ტურიზმის განვითარებისთვის კლუბს 6000 მანეთი გამოუყო.

## ტურიზმის ინსტრუქტორთა ახალი რაზმი

15 მარტიდან მუშაობას იწყებს ქვეითი ტურიზმის ინსტრუქტორთა მოსამზადებელი კურს-სემინარები. ამ სემინარებზე მომზადდება 50 ინსტრუქტორი. „განთიადის", „ბურევესტნიკის", „სპარტაკისა" და „ლოკომოტივის" ძირეული კოლექტივები კურსებზე გამოგზავნიან ტურიზმის ენთუზიასტებს, მოწინავე კომკავშირლებსა და ახალგაზრდებს, რომლებიც სერიოზულად ეკიდებიან ტურიზმს და სათანადო მომზადების შემდეგ აქტიურად ჩაებმებიან ამ სახეობის სექციების საქმიანობაში.

სემინარის მსმენელები წარმოებისგან მოუწყვეტლივ გაივლიან სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ 200-საათიან პროგრამას, რის შემდეგაც მონაწილეობას მიიღებენ 10-დღიან სასწავლო-საწვრთნელ ლაშქრობაში. ლაშქრობის მარშრუტი ლაგოდეხიდან იწყება და დასავლეთ კავკასიონის უღელტეხილებით დაღესტანში გადადის.

## ტურისტული საღამო-შეხვედრა

17 მარტს 26 კომისრის სახელობის წითელდროშოვანი უმაღლესი საარტილერიო სასწავლებლის კლუბში თბილისის ტურისტული კლუბი ატარებს ქალაქის ტურისტული საზოგადოებრიობის შეხვედრას სასწავლებლის მოსწავლეებთან — ამ სახეობის მოყვარულებთან. ამ შეხვედრაზე შეჯამდება სასწავლებლის შარშანდელი ტურისტული სეზონის შედეგები. საუკეთესო ტურისტებს გადაეცემათ ჯილდოები, სიგელები, დიპლომები და ვიმპელი.

ნაჩვენები იქნება შარშან მაისში მოწყობილი საქალაქო ტურისტული შეკრება-შეჯიბრების ამსახველი სამოყვარულო კინოფილმი.

## მდინარე ივრის ხეობაში

11-12 მაისს ტურისტული კლუბი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტურიზმის განყოფილებასთან ერთად სოფელ ოთარაანთკარის მიდამოებში, მდინარე ივრის ხეობაში ატარებს გამარჯვების დღისა და საზაფხულო ტურისტული სეზონის გახსნისადმი მიძღვნილ ტრადიციულ საქალაქო შეკრება-შეჯიბრებას. დებულება ითვალისწინებს ოთხი სახის კონკურსს: მასობრივ ლაშქრობას მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად, ტურისტულ ესტაფეტას, ბანაკის მოწყობას, ტურისტული კედლის გაზეთებისა და საველე ფურცლების გამოშვებას. ამ უკანასკნელ კონკურსს კლუბი ტრადიციულად გაზეთ „ლელოს" რედაქციასთან ერთად აწყობს. იგი პრესის დღეს ეძღვნება.

შეკრება-შეჯიბრებაში ქალაქის 32 კოლექტივის 3000 ტურისტი მიიღებს მონაწილეობას.

ო. გოგოხიძე,
თბილისის ტურისტული კლუბის დირექტორი.

• •

# ორი რევანში

თბილისში, ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში, დამთავრდა კალათბურთელთა რესპუბლიკური ტურნირი, რომელიც ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს მიეძღვნა.

ქალთა შეჯიბრების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელები და რესპუბლიკის გოგონათა ნაკრების წევრები. ინიციატივა თავიდანვე ხელთ იგდეს გოგონებმა. ისინი თამაშობდნენ უფრო აგრესიულად, სწრაფი ტემპით, ტაქტიკურად გამიზნულად. გარდა ამისა, ნორჩები ზუსტად „ბომბავდნენ" კალათს. ამან მნიშვნელოვანწილად განაპირობა მათი წარმატება. უნდა ითქვას ისიც, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა გადამწყვეტი შეხვედრა დუნედ, უინიციატივოდ ჩაატარეს. გოგონათა ნაკრებმა (მწვრთნელი სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. ბაბახანიდი) დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა — 80:58 (44:25). ამ წარმატებით ახალგაზრდულმა კოლექტივმა თბილისის ჩემპიონატში მარცხისთვის რევანში აიღო.

III საპრიზო ადგილი უნივერსიტეტისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდებმა გაითამაშეს. გამარჯვება წილად ხვდა უნივერსიტეტის კოლექტივს — 64:48 (36:32).

ვაჟთა ასპარეზობაში I ადგილის ბედი „ბურევესტნიკისა" და უნივერსიტეტის კალათბურთელთა შეხვედრამ გადაწყვიტა. ამ მატჩს მაყურებლები მოუთმენლად ელოდნენ, ვინაიდან ქალაქის ჩემპიონატში უნივერსიტეტმა დაამარცხა მეტოქე და, ცხადია, ბურევესტნიკელები ახლა რევანშის აღებას ეცდებოდნენ. რევანში შედგა — „ბურევესტნიკი" თავის მეტოქეზე ძლიერი აღმოჩნდა — 84:67 (40:36). გამარჯვებულთა შორის (მწვრთნელი სპორტის ოსტატი ი. მირიანაშვილი) თავი გამოიჩინეს ზ. სულავამ და ვ. ტანიამ.

უდავო წარმატებას მიაღწია სპორტკლუბმა „სინათლემ", რომელსაც III საპრიზო ადგილი ერგო. გადამწყვეტ შეხვედრაში „სინათლემ" დაამარცხა რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრები — 60:59 (34:29). გამარჯვების მაუწყებელი ბურთი მეტოქის კალათში ჩააგდო ზ. ლეონტიევმა.

მომდევნო ადგილები სატურნირო ცხრილში ასე განაწილდა: ქალები — 5. სოხუმი, 6. ბათუმი, 7. რუსთავი, 8. ქუთაისი. ვაჟები — 5. სოხუმი, 6. ქუთაისი, 7. ბათუმი, 8. წყალტუბო.

ლ. კნოლეველი.



„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 10 მარტს.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04491